| რეკომენდაციები: | **1.2.** მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ღონისძიებების/პროექტების ანგარიშის ანალიზისას, მასწავლებლები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემოიფარგლებიან მხოლოდ ღონისძიების დასახელებით და ზოგადი აღწერით, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია: თითოეული ღონისძიების აღწერისას გამოკვეთონ: მიზანი, კონკრეტული აქტივობა /მიმდინარეობა და შედეგი. რადგან ასეთი აღწერა, მათ უკეთ დაანახვებს თუ როგორ გადიან შედეგზე და არის თუ არა მათ მიერ დაგეგმილი აქტივობა მიზნის შესაბამისი.<br>**1.2**. კომპლექსური დავალებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების ანალიზი (შეფასება და მოსწავლისთვის დაბრუნებული უკუკავშირი) არის ზოგადი ხასიათის და შემოიფარგლება ზოგადი კომენტარებით. ამ საკითხთან მიმართებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია: დაიცვას მოსწავლისთვის დასაბრუნებელი განმავითარებელი შეფასების სტრუქტურა და გამოკვეთოს - კონკრეტულად რას გაართვა თავი მოსწავლემ კარგად, რა აქვს გასაუმჯობესებელი და როგორ, რა საშუალებით გააუმჯობესოს სუსტი მხარე - სავარჯიშოს ან კონკრეტული დავალების მითითებით).<br>**1.6.** მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარები გახდეს უფრო ინფორმატიული, რაც სკოლას დაეხმარება მიიღოს მეტი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 887 კვ.მ | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა N 55 | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს აპოდიქსი განთავსებულია ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩა N 55. სკოლის მეიჯარეა ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაზე“ უზურფურქტით გადაცემული მე-2 ბაგა-ბაღი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები 2022 წლის 29 დეკემბრიდან 2029 წლის 01 იანვრამდე.<br>ხელშეკრულებების თანახმად, სკოლა ფლობს 2 შენობა ნაგებობას - 887კვ.მ. და 230 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართს.<br>სკოლა გამიჯნულია ბაღის შენობიდან და აქვს ცალკე შესასვლელი და ეზო.<br>შენობის პირველ სართულზე, საკლასო ოთახებთან ერთად, განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, ხოლო მეორე სართულზე დირექციის ოთახი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ისტ-ის კაბინეტი და სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის შენობის უკანა ეზოში მდგარ ცალკე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობაში. ეზოში განთავსებულია ,ასევე, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის (4 კაბინა) და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა N 55 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 44.01.28.169 |
| *კვ.მ.* | 887 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• იჯარის ხელშეკრულება N1;<br>• იჯარის ხელშეკრულება N2;<br>• შენობის აზომვითი ნახაზები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობაში სულ 12 საკლასო ოთახია, მათ შორის I სართულზე განთავსებულია 3, II სართულზე 9 საკლასო ოთახი.<br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული (192 + დასაწყობებული 50) მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის (200) საჭიროებების დაკმაყოფილებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • აზომვითი ნახაზები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ეზოში მდებარე N2 შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი, ფართით 80 კვ.მ., რომელიც იანვრის ბოლოს, სამეგრელოში განვითარებული სტიქიური მოვლენების დროს დაზიანდა და ამ ეტაპზე მასში სპორტული გაკვეთილები არ ტარდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს მომსახურე სუბიექტის მიერ, შპს აპოდიქსის სპორტული დარბაზით უზრუნველყოფა, ყოველდღიურად 9 საათიდან 12 საათის ჩათვლით. მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, სკოლას ხელშეკრულებაა აქვს დადებული მძღოლთან რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ტრანსპორტირება, მის კუთვნილებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით (20 კაციანი მიკროავტობუსი). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• მომსახურების ხელშეკრულება (2 თებერვალი, 2023) სპორტული დარბაზის ქირავნობასთან დაკავშირებით;<br>• მძღოლთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება N32 (01.02.2023);<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის საბუნებისმეტყველო კაბინეტი განთავსებულია სკოლის ეზოში მდებარე ერთსართულიან შენობაში, რომელშიც წარმოდგენილია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი განთავსებულია თაროებზე და რეაქტივები დაცულია საკეტიან კარადაში, გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. გაფორმებულია ხელშეკრულებები ენერგო პრო ჯორჯიასთან და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კომპანიასთან“. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.<br>საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია შეშის ფეჩები და საჭიროებისამებრ გამოიყენება ელექროგამათბობლებიც.<br>სანიტარული კვანძები 2-2 კაბინა გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე სსსმ მოსწავლისთვის, განთავსებულია ეზოში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები;<br>• შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან და ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე მდგარ შენობაში. მასში დაცულია 1830 წიგნადი ერთეული, მათ შორის, ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 10 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რამდენადაც ეს სივრცე გამოიყენება, ასევე, ისტ-ის გაკვეთილების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკის მოპირდაპირე მხარეს გაანთავსებულია პატარა სამკითხველო დრბაზი , |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღნუსხულია საინვენტარო წიგნში. სკოლაში მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები.<br>ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.<br>ბიბლიოთეკართან, რომელსაც შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მისი მოვალეობები გაწერილია სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები;<br>• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებას აქვს მოძრავი პანდუსები. სკოლის ეზოში განთავსებული ერთ-ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის, თუმცა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სველი წერტილის გადიდებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ექსპერტთა შეფასებით, არსებულ სივრცეში ეტლით გადაადგილება სირთულეს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ შესასრულებელ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ამოცანას წარმოადგენს სველი წერტილების, მათ შორის, ადაპტირებული სველი წერტილის კეთილმოწყობა.<br>სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• მიღება ჩაბარების აქტები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 10 პერსონალური კომპიუტერი (ისტ-ის გაკვეთილებისთვის) და 4 ლეპტოპი, ასევე +1 კომპიუტერი ვიდეოსათვალთვალო ჩანაწერებისთვის.<br>სკოლის ვებგვერდზე https://apodiksi.edupage.org/ განთავსებულია: მისია, შინაგანაწესი, სიახლეები, ბიბლიოთეკის დებულება, სკოლის სტრუქტურა, ფოტო და ვიდეო მასალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის დამუშავება.<br>ცენტრის ელექტრონული ფოსტაა: apodiqsiskola27@gmail.com.<br>საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის Facebook გვერდიც, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ცენტრის ვებგვერდი https://apodiksi.edupage.org/;<br>• ცენტრის ელექტრონული ფოსტა apodiqsiskola27@gmail.com; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტების - „სამუშაო ინსტრუქცია ხანძრის შემთხვევაში" და „პრაქტიკული ვარჯიში თემაზე: სკოლის შენობიდან ევაკუაციის ორგანიზება ხანძრისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს" სახით. სკოლის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსწავლე/მასწავლებლების და სხვა მომსახურე პერსონალის მოქმედებების პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზება, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სწრაფი და უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველყოფა.<br>შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დამუხტული, ვადიანი ცეცხლმაქრები (4), სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).<br>სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელელი რკინის გარე კიბის სახით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დოკუმენტი „სამუშაო ინსტრუქცია ხანძრის შემთხვევაში"; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • „პრაქტიკული ვარჯიში თემაზე: სკოლის შენობიდან ევაკუაციის ორგანიზება ხანძრისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს“;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ სკოლის ორივე სართულზე და შენობა N2-ში გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას {საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ}. ექსპერტთა რეკომენდაციით, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ თხოვნით მიმართა შესაბამის ორგანოს ახალი ევაკუაციის გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით და მათ იმავე დღეს გადმოეგზავნათ ახალი გეგმების (4) ელექტრონული ვერსია. გეგმების ლამინირება და შესაბამის ადგილებზე განთავსება დაიგეგმა უახლოეს დღეებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები<br>• ევაკუაციის გეგმები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, მასში გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. სკოლას ჰყავს ექთანი, ხოლო ექიმის ვაკანსიაზე გამოცხადებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კონკურსი. ექთანთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას.<br>კაბინეტში განთავსებულია ტახტი, მაგიდა, სამედიცინო ტახტი, დამონტაჟებულია ონკანი, განთავსებულია შირმა, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად სკოლას არ აქვს სრული ჩამონათვალი (მაცივარი, საათი, საკაცე და ა.შ), რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა <u>შესაბამისი რეკომენდაცია - უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვა შესაბამისი რესურსით.</u> აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო ზრუნვა შესაბამისი რესურსის შესაძენად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სამედიცინო დახმარების მექანიზმები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ჩანაწერების ჟურნალი;<br>• ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული. არსებულ დოკუმენტთან მიმართებით სკოლას სამინისტროს მხრიდან მიეცა რეკომენდაციები, რისი გამოსწორების შემდგომ, ახალი დოკუმენტი კვლავ გადაეგზავნა რესურსცენტრს შუამდგომლობისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად, თუმცა, პასუხი ამ ეტაპამდე სკოლას არ მიუღია. სკოლამ წარმოადგინა, ასევე, დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე.<br>სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სადამრიგებლო პროგრამები;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• მიმოწერა სამინისტროსთან;<br>• გასაუბრების შედეგები;<br>• სკოლის შინაგანაწესი. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 8 კამერა, მათ შორის 4 უზრუნველყოფს გარე პერიმეტრის კონტროლს. კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორის მოადგილე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | „შპს აპოდიქსში“ შემუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების და შინაგანაწესის სახით. შინაგანაწესი შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ოქმი N1 (05.09.2022) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს აპოდიქსის წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის სტატუსი და მიზნები.<br>სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და მასში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით.<br>შინაგანაწესის თანახმად, სკოლასა და დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო.<br>სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია:<br>❖ სამუშაო და დასვენების დრო;<br>❖ სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები;<br>❖ შრომითი ურთიერთობის წარმოშობა;<br>❖ შრომითი ურთიერთობის პირობები;<br>❖ შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი<br>❖ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ❖ სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი;<br>❖ მოსწავლეთა მიღება სკოლაში;<br>❖ წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა;<br>❖ დასკვნითი დებულებანი.<br><br>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრების დებულება, დამრიგებლის მუშაობის დებულება და სხვა.<br><br>**გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს აპოდიქსის წესდება;<br>• შპს აპოდიქსის შინაგანაწესი;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება;<br>• კათედრების დებულება;<br>• დამრიგებლის მუშაობის დებულება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს აპოდიქსმა თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2029 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2022 წლის 05 სექტემბერს.<br><br>სკოლამ სტრატეგიული გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზით და გამოყო 5 ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი:<br><br>• სწავლა სწავლება<br>• ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება<br>• სკოლის მენეჯმენტი<br>• მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<br>• პარტნიორული ურთიერთობები<br><br>2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ძირითად ამოცანებს, რომლებიც ერთი წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს.<br><br>სკოლს მიეცა რეკომენდაცია - აღმოფხვრან სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში გაპარული ტექნიკური შეცდომები (ექვსწლიანი გეგმის თავფურცელზე მითითებულია 2022-2023 სასწავლო წელი, ნაცვლად 2022-2029 წლებისა, ასევე, მატერიალური რესურსის შინაარსში მითითებულია - სკოლის განახლება, რაც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თავისთავში გულისხმობს ამავე მიმართულებაში ჩამოთვლილ სხვა საკითხებს). ასევე, სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩაიშალოს ამოცანებად, მიზნის მიღწევის ინდიკატორებად და დაკონკრეტდეს პასუხისმგებელი პირები, მათი უფლება-მოვალეობების ფარგლებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2022-2029 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ერთიანი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის თანახმად, სკოლა აწარმოებს 6 საქმისწარმოების ჟურნალს:<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• განცხადებების წიგნი;<br>• თანამშრომელთა ხელშეკრულებების რეესტრი;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი.<br><br>ყველა ჟურნალი (წიგნი) ზონარგაყრილი და ბეჭედ დასმულია.<br><br>სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია, ასევე, ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები;<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | **2.8.** აღმოფხვრან სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში გაპარული ტექნიკური შეცდომები (ექვსწლიანი გეგმის თავფურცელზე მითითებულია 2022-2023 სასწავლო წელი, ნაცვლად 2022-2029 წლებისა, ასევე, მატერიალური რესურსის შინაარსში მითითებულია - სკოლის განახლება, რაც თავისთავში გულისხმობს ამავე მიმართულებაში ჩამოთვლილ სხვა საკითხებს). სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩაიშალოს ამოცანებად, მიზნის მიღწევის ინდიკატორებად და დაკონკრეტდეს პასუხისმგებელი პირები, მათი უფლება-მოვალეობების ფარგლებში. |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## 3. ადამიანური რესურსი

| |
|---|
| **3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2022-2023 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 29 თანამშრომელი, მათ შორის 23 მასწავლებელი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი (ორი). სკოლის დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი და საინფორმაციო მენეჯერი არიან ასევე საგნის მასწავლებლებიც.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დებულებაში.<br>**წარმოდგენილი მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს აპოდიქსი საშტატო განრიგი;<br>• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;<br>• ადმინისტარციის პირადი საქმეები;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• პერსონალთა პირადი საქმეები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **23** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | |
| **პრაქტიკოსი მასწავლებლი** | **7 (უსტატუსო)** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| უფროსი მასწავლებლი | 16 |
| წამყვანი მასწავლებლი | - |
| მენტორის სტატუსი | - |

| | |
|---|---|
| **3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად.<br>სკოლაში 15 უფროსი და 7 უსტატუსო მასწავლებელია. უსტატუსო მასწავლებლებს აქვთ განსხვავებული პირობით დადებული 2 წლიანი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მათ ვალდებულება აქვთ 2 წლის განმავლობაში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა.<br>სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, დიპლომი, სერტიფიკატი, CV. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს აპოდიქსის თანამშრომეთა პირადი საქმეები;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით - მუხლი 6. თანამშრომელთა მიღების წესი, თუმცა მასში არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 174/ნ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბრძანებით განსაზღვრული - მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, მუხლი 4-ით (კონკურსის გამოცხადება) და მუხლი 5-ით (კომისიის შექმნის წესი) განსაზღვრული მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - დოკუმენტში ასახოს ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები.<br>შინაგანაწესის მუხლი 17-ის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. განსაზღვრულია წახალისების ფორმები: ა. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ამავე შინაგანაწესის მუხლი 18 ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადების გათვალისწინებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გატარებულია რეგისტრაციის ჟურნალში.<br>ხელშეკრულებით, რომლებიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.<br>ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომელთა ნაწილს არ ჰქონდა წარმოდგენილი ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია შპს აპოდიქსის დირექტორის 2022 წლის 5 სექტემბრის N 23 ბრძანებით. დოკუმენტით განსაზღვრულია, სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადება, სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება პროგრამების შემუშავება/რედაქტირებისათვის, კათედრებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამუშაო შეხვედრების მოწყობა.<br>სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.<br>გარდა ამისა, მასწავლებლები ჩართულნი არიან ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ და შესაბამისად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა და აკრედიტებულ პროგრამებში. სკოლა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს აპოდიქსი „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები“;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დირექცია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენისთვის, წახალისების ფორმებთან ერთად, ცდილობს შექმნას ყველასთვის კომფორტული და თანასწორი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან და განიხილავენ გაკვეთილებს, უზიარებენ სიახლეებს და გამოცდილებას.<br><br>მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა რომ სკოლაში სუფევს მეგობრული გარემო და მასწავლებლები ითვალისწინებენ მათ ინტერესებს საგაკვეთილო პროცესში და იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მათი მოტივაციის ასამაღლებლად.<br>**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

გვერდების რაოდენობა -59

თბილისი - 09.03.2023



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.